/56
/381/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1981 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1981 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

66. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ს. ახვლედიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
67. ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ
68. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ
69. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 აგვისტოს № 749 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

70. სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ

კ. მარ... სახ. საქ. სსრ
სახე... კა რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

71. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

72. საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სახელმწიფო გამოცდისა და დარაიონების შესახებ

73. „თუთის ფოთლის, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ბინის ქირისა და სანამყენე კალმების ღირებულების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 აპრილის № 576 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

74. „არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

66 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ს. ახვლედიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს გ. ს. ახვლედიანის სახელი:

— ქალაქ წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს;

— ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას;

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ფონეტიკის კაბინეტს.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დადგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ბიუსტი განსვენებულის საფლავზე.

3. დაწესდეს თითო სახელობითი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდებიდან ფილოლოგიის ფაკულტეტების ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 8 სექტემბერი, № 655

67 ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორციელდება ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის კურსი, დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ზრდისა და მოზარდი თაობის აღზრდისათვის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნას.

სისტემატურად უმჯობესდება პირობები, რაც საშუალებას აძლევს ქალებს უფრო სრულად შეუხამონ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობა დედობას, მათ შორის სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, ანაზღაურებული შვებულებისა და სხვა შეღავათების მიცემა ორსული ქალებისა და დედებისათვის.

რესპუბლიკაში შეიქმნა და მოქმედებს საბავშვო დაწესებულებების გაშლილი ქსელი, მოზარდი თაობის აღზრდაში ოჯახებისათვის ფულადი ხელშეწყობისა და სახელმწიფო დახმარების სხვა ფორმების მწყობრი სისტემა. ამჟამად მუდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში 169 ათასზე მეტი ბავშვი იზრდება. 108 ათასზე მეტი მოსწავლე მეცადინეობს გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში. მარტო საზაფხულო პიონერბანაკებში 208 ათასი მოსწავლე ისვენებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომელთაც შვილების აღზრდაში ოჯახებისათვის დახმარება ჩვენი საზოგადოების განვითარების სოციალური პროგრამის დიდმნიშვნელოვან მიმართულებად მიაჩნიათ, თავიანთი 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გაითვალისწინეს დამატებით ღონისძიებათა განხორციელება ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გასაძლიერებლად, ბავშვთა საზოგადოებრივი და საოჯახო აღზრდის რაციონალური შეხამების უზრუნველყოფა, მომუშავე დედების მდგომარეობის შემსუბუქება, ოჯახების ცხოვრების დონის სხვაობის შემცირება ბავშვთა რაოდენობის შესაბამისად და ახალგაზრდა ოჯახებისათვის ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ახალშობილ და მცირეწლოვან ბავშვთა მოსავლელად დედებისათვის უფრო ხელშემწყობი შესაძლებლობის შექმნის მიზნით:

ა) შემოღებულ იქნეს არანაკლებ ერთი წლის საერთო შრომის სტაჟის მქონე მომუშავე დედებისათვის. აგრეთვე წარმოებას მოწყვეტით მოსწავლე ქალებისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი ერთი წლისა გახდებოდეს, თვეში 35 მანეთის ოდენობით.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით:

— დაწესდა, რომ შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში აღნიშნული შვებულება ანაზღაურდება თვეში 50 მანეთის, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 35 მანეთის ოდენობით;

— გათვალისწინებულია ეს ღონისძიება განხორციელდეს ეტაპობრივად ქვეყნის ტერიტორიაზე, მოყოლებული 1981 წლიდან, შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთის რაიონებიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების შემოღებასთან ერთად უფლება მიეცეთ მომუშავე ქალებს მიიღონ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი წლინახევრისა, მერე კი — ორი წლისა გახდებოდეს, ამასთან შეუნარჩუნდეთ უწყვეტი შრომის სტაჟი და სპეციალობით მუშაობის სტაჟი;

გ) განხორციელდეს მეთორმეტე ხუთწლედში ღონისძიებანი ახალშობილ და მცირეწლოვან ბავშვთა მოსავლელად შვებულების ხანგრძლივობის გადიდებისა და მისი ანაზღაურების დონის ამაღლებისათვის;

დ) შეღავათები, რომლებითაც სარგებლობენ მუშა-მოსამსახურე ქალები წინანდელ სამუშაოზე საშუალო გამომუშავების შენარჩუნების ნაწილში, გავრცელდეს კოლმეურნე ქალებზე:

ექიმის დასკვნით სხვა, უფრო იოლ სამუშაოზე გადაყვანილ ორსულ ქალებზე;

სხვა სამუშაოზე გადაყვანილ მეძუძურ დედებსა და ერთ წლამდე ასაკის ბავშვის დედებზე იმ შემთხვევებში, როცა არ შეუძლიათ შეასრულონ წინანდელი სამუშაო, ბავშვის კვების მთელი დროისათვის ან სანამ იგი ერთი წლისა გახდებოდეს.

2. უზრუნველყოფილ იქნეს მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში საბავშვო ბაღებისა და ბაგების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, პიონერბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ქსელის ყოველმხრივი განვითარება, ამასთან მიჩნეულ იქნეს ისინი დიდმნიშვნელოვან რგოლად მოზარდი თაობის საზოგადოებრივი და საოჯახო აღზრდის სისტემაში. ამ მიზნით:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებში მუდმივ და სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებზე მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უახლოესი წლების მანძილზე აღმოიფხვრას მათი ნაკლებობა რაიონებში, სადაც მაღალია საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმების დონე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა ყველა შენობის სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბავშვთა ჯგუფების დაწესებული ნორმატივების შესაბამისად შევსების და მათი მუშაობის რეჟიმის სრულყოფის უზრუნველსაყოფად, ამასთან საჭიროების კვალობაზე შექმნან სკოლამდელი დაწესებულებანი ან ჯგუფები, სადაც ბავშვები მთელი დღე-ღამის განმავლობაში იქნებიან, მათ შორის კვირაობით და უქმე დღეებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობისათვის უფრო მეტი მოხერხებულობის შესაქმნელად უზრუნველყონ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა და განლაგება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში ადგილების გაცვლა რაიონული და საუწყებო საბავშვო ბაგებსა და ბაღებში.

საბავშვო ბაგების, ბაგა-ბაღების, ბაგის ჯგუფებისა და ბავშვთა სახლების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად გავრცელდეს მეთერთმეტე ხუთწლედში ამ დაწესებულებებში მომუშავე მედდებზე საბავშვო ბაღების აღმზრდელთათვის დაწესებული 6-საათიანი სამუშაო დღისა და 36-დღიანი შვებულების ხანგრძლივობა.

გადიდდეს მეთერთმეტე ხუთწლედში სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ხარჯების ნორმები საშუალოდ 10-15 პროცენტით, განთავისუფლდნენ საბაშვო ბაგებსა და ბაღებში ბავშვთა ყოლის გადასახადისაგან ოჯახები, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე გაანგარიშებით არ აღემატება 60 მანეთს თვეში, ხოლო ოჯახებისათვის, რომელთაც ოთხი და მეტი ბავშვი ჰყავთ, გადასახადის ოდენობა შემცირდეს ერთიორად.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 1981 წლის განმავლობაში მოამზადოს, ხოლო 1982 წლიდან გადასცეს მის გამგებლობაში არსებული საბავშვო ბაგები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით 1982 წლის ბიუჯეტში და შრომისა და ხელფასის გეგმაში.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით სსრ კავშირის სახმშენს დაევალა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს 1982 წელს სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი ტიპობრივი პროექტები ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების და დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართოდ გამოყენების გათვალისწინებით;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების, სკოლებთან და ბავშვთა სახლებთან არსებული ინტერნატების მუშაობა; გაადიდონ მეთერთმეტე ხუთწლედში ამ დაწესებულებებში მიმდინარე ხარჯების ნორმები, აგრეთვე გაათავისუფლონ სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა ყოლის გადასახადისაგან ოჯახები, *რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე გაანგარიშებით არ აღემატება 60 მანეთს თვეში;*

გ) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ პიონერთა და შრომითი ბანაკების ქსელის განვითარება, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით საწარმოთა სახსრები;

დ) საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ყურადღება პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და სახლების, სპორტული სკოლებისა და მოედნების, სამეცნიერო-ტექნიკური სადგურებისა და სხვა სპეციალიზებული დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებისა და ქსელის გაფართოებისადმი, განსაკუთრებით ბავშვთა საცხოვრებელი და სწავლის ადგილის მიხედვით.

გააქტიურონ და გაუმჯობესონ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების მუშაობა ბავშვთა აღსაზრდელად, მათი დასვენების შინაარსის გასაუმჯობესებლად, ამასთან ფართოდ გაავრცელონ საუკეთესო საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების გამოცდილება, რომლებთანაც საზოგადოებრიობის დახმარებით შექმნილია და მოქმედებენ მშობელთა საბჭოები, ბავშვთა ოთახები, საბავშვო სპორტული მოედნები, წრეები და ბიბლიოთეკები.

3. იმ მიზნით, რომ ქალებს შეექმნათ უფრო ხელშემწყობი პირობები, რაც საშუალებას მისცემს მათ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომა შეუხამონ შვილების აღზრდას:

ა) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა:

— ფართოდ გავრცელდეს არასრული სამუშაო დღის ან არასრული სამუშაო კვირის რეჟიმით, სრიალა (მოქნილი) გრაფიკით ქალთა მუშაობის პრაქტიკა, განსაკუთრებით წარმოებებში, სადაც უპირატესად გამოყენებულია ქალთა შრომა, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და მომსახურების სფეროს სხვა საწარმოებში (დაწესებულებებში), აგრეთვე მათი შინ მუშაობის პრაქტიკა;

— გაუმჯობესდეს მომუშავე ქალთა შრომის პირობები, დაჩქარდეს მათი განთავისუფლება მძიმე და ჯანმრთელობისათვის სხვა არახელსაყრელი სამუშაოების შესრულებისაგან, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდეს ქალთა შრომა ღამის ცვლაში.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სამი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის რეჟიმის, სრიალა გრაფიკისა და შინ მუშაობის პრაქტიკის გამოყენების წესის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს მათში უპირატესობანი ბავშვიანი ქალებისათვის;

ბ) მიეცეთ, მოყოლებული 1981 წლიდან, მომუშავე ქალებს, რომელთაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ორი და მეტი შვილი:

— დამატებითი 3-დღიანი ანაზღაურებული შვებულება, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ აღნიშნული დამატებითი შვებულებით მოსარგებლე მუშა ქალთა შვებულების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს;

— ზაფხულში ან მათთვის მოსახერხებელ სხვა დროს ყოველწლიური შვებულების პირველ რიგში მიღების;

— ბავშვთა მოვლისათვის დამატებითი უხელფასო შვებულების უფლება 2 კვირამდე ხანგრძლივობით ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იმ პერიოდში, როცა ამის საშუალებას იძლევა საწარმოო პირობები;

გ) გადიდდეს მეთერთმეტე ხუთწლედში ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ანაზღაურებული პერიოდის ხანგრძლივობა 14 დღემდე, ამასთან ანაზღაურდეს მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებითი დამატებითი დღეები ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით.

4. ბავშვიანი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის ამაღლების მიზნით:

ა) შემოღებულ იქნეს მეთერთმეტე ხუთწლედში მომუშავე ან წარმოებას მოწყვეტით მოსწავლე დედებისათვის სახელმწიფო ერთდროული დახმარების გადახდა 50 მანეთის ოდენობით პირველი შვილის გაჩენისას და 100 მანეთი მეორე და მესამე შვილის გაჩენისას, ამასთან უცვლელი დარჩეს დახმარების მოქმედი ოდენობა მეოთხე და მომდევნო შვილების გაჩენისას;

ბ) გაუდიდდეთ 1981 წელს სახელმწიფო დახმარების ოდენობა მარტოხელა დედებს თვეში 20 მანეთამდე ერთ შვილზე და დაწესდეს, რომ ეს დახმარება მათ მიეცემათ მანამ, სანამ ბავშვი მიაღწევს 16 წლის ასაკს (მოსწავლეები, რომლებიც სტიპენდიას არ იღებენ, — 18 წლის ასაკს);

მიეცეთ, მოყოლებული 1981 წლიდან, უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სტიპენდიები ყველა ბავშვიან სტუდენტსა და მოსწავლეს, რომლებიც სწავლაში არ ჩამორჩებიან.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით გათვალისწინებულია:

— გავრცელდეს მეთერთმეტე ხუთწლედში შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში სახელმწიფო ყოველთვიური დახმარების მიცემა იმ ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე გაანგარიშებით არ აღემატება 75 მანეთს თვეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განხორციელდეს მეთორმეტე ხუთწლედში ბავშვთა სახელმწიფო დახმარების სისტემის შემდგომი სრულყოფა.

5. დაუწესდეთ 1981 წელს დამატებითი შეღავათები ასაკის გამო პენსიის დანიშვნისას მუშაობის არასრული სტაჟის დროს დედებს, რომლებმაც აღზარდეს ხუთი ან მეტი შვილი და პატარაობიდანვე ინვალიდი ბავშვი. დაენიშნოთ აღნიშნული პენსია, თუ საერთო შრომის სტაჟი შეადგენს არანაკლებ 5 წელს, მუშაობის პერიოდში საპენსიო ასაკის მიღწევის თაობაზე მოთხოვნის გარეშე და თუ პენსიის დასანიშნად მიმართვის მომენტისათვის უწყვეტი მუშაობის სტაჟი შეადგენს 3 წელს.

6. განხორციელდეს ღონისძიებანი ბავშვიანი ოჯახებისა და ახალდაქორწინებულთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად,, გაფართოვდეს მათი უპირატესობანი სახელმწიფო საცხოვრებელი ართობის მიღებისას, აგრეთვე ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობისას.

ამ მიზნით:

ა) შემოღებულ იქნეს მეთერთმეტე ხუთწლედში პრაქტიკა, რათა მიეცეთ 30 წლამდე ასაკში პირველად ახალდაქორწინებულებს, რომელთაც საცხოვრებელი არა აქვთ, როგორც მინიმუმი, ოთახი და ახალგაზრდა ოჯახებს დაქორწინებიდან პირველი 3 წელიწადში შვილის გაჩენისას — ერთოთახიანი ბინა.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სანიმუშო ინსტრუქცია ახალდაქორწინებულებისა და ბავშვიანი ოჯახებისათვის ახალი საცხოვრებელი ფართობის და განთავისუფლებული ბინების (ოთახის) მიცემის წესის შესახებ, რესპუბლიკის სოციალურ-დემოგრაფიული პირობების გათვალისწინებით.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით, გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს თანდათანობით, მოყოლებული შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის, ევროპული ჩრდილოეთისა და რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის რაიონებიდან.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

— ერთი თვის ვადაში დააზუსტონ ახალდაქორწინებულებისა და ბავშვიანი ოჯახებისათვის ახალი საცხოვრებელი ფართობის და განთავისუფლებული ბინების (ოთახების) მიცემის წესი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ცალკეული ქალაქებისა და რაიონების სოციალურ-დემოგრაფიული პირობების გათვალისწინებით და წარმოუდგინონ წინადადებანი აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) საბინაო მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს მომუშავე ახალგაზრდობის მოთხოვნილება საცხოვრებელ ბინაზე; გააფართოონ საერთო საცხოვრებლების მშენებლობა, პირველ რიგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ტიპობრივი პროექტების მიხედვით, აგრეთვე სასტუმროს ტიპის სახლების მშენებლობა; უზრუნველყონ ახალდაქორწინებულთათვის ცალკე ოთახების გამოყოფა საერთო საცხოვრებლებში;

გ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ახალგაზრდა ოჯახებს ინდივიდუალურ და კოოპერაციულ საბინაო მშენებლობაში, მიანიჭონ მათ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში პირველ რიგში შესვლის უფლება, შეამცირონ თავდაპირველი შესატანის წილი, ამასთან დააწესონ იგი ბინის ღირებულების 30 პროცენტის ოდენობით.

ნება დაერთოთ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს მისცენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და აღნიშნული მიზნებისათვის გათვალისწინებული სხვა ფონდების (სახსრების) ხარჯზე 30 წლამდე ასაკის ერთ-ერთ მეუღლეს, რომელმაც იმუშავა მოცემულ საწარმოში, ორგანიზაციაში ან კოლმეურნეობაში არანაკლებ 2 წელი და კარგად გამოიჩინა თავი მუშაობაში, უპროცენტო სესხი საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ან საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად 1.500 მანეთამდე ოდენობით 8 წლამდე დაფარვის ვადით; მისცენ ეს სესხი იმ პირობით, თუ ოჯახს ჰყავს სულ ცოტა ერთი შვილი. სესხის მიღების შემდეგ მეორე შვილის გაჩენისას მისი დაფარვის ანგარიშში ჩაითვალოს 200 მანეთი და მესამე შვილის გაჩენისას — 300 მანეთი.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით:

— გათვალისწინებულია აღნიშნული სესხის შემოღება განხორციელდეს ეტაპობრივად ქვეყნის ტერიტორიაზე, მოყოლებული შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთის რაიონებიდან;

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის სახბანკთან, სსრ კავშირის მშენბანკთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება ახალგაზრდა ოჯახებისათვის ზემოაღნიშნული სესხის მიცემის შესახებ.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაუქმდეს მეთერთმეტე ხუთწლედში ახალდაქორწინებულთათვის მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება მათი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან პირველი წლის განმავლობაში.

8. საოჯახო შრომის შემსუბუქებისა და საოჯახო მეურნეობის გაძღოლისათვის დახარჯული დროის შემცირების მიზნით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა:

— გაადიდონ ყველგან ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიული ნაწარმის წარმოება და გაყიდვა, გააუმჯობესონ მათი ხარისხი, აგრეთვე უზრუნველყონ საზოგადოებრივი კვების, განსაკუთრებით სასადილოებისა და კაფეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსელის განვითარების წინმსწრები ტემპი, დამზადებული კერძების ხარისხისა და მოსახლეობის მომსახურების დონის არსებითი ამაღლება;

— გააფართოონ მოსახლეობის მომსახურების ისეთი პროგრესული ფორმების გამოყენება, როგორიცაა წინასწარი შეკვეთები სამუშაო და საცხოვრებელ ადგილზე, საქონლის (მათ შორის საბავშვო ასორტიმენტის საქონლის) შინ მიტანა, გაგზავნით ვაჭრობა, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო სამუშაოთა შესრულება ბინაზე, აგრეთვე გააუმჯობესონ ვაჭრობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის რეჟიმი; რჩევა მიეცეთ შექმნამ საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გასაყიდად სპეციალიზებული მაღაზიები და სავაჭრო სექციები „დედათა და ბავშვთა სახლის“ და „ბავშვთა სამყაროს“ მაღაზიების ტიპისა.

9. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კვლავაც განხორციელდეს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის შეღავათიანი სახელმწიფო საცალო ფასების პოლიტიკა.

ამაღლდეს საბავშვო საქონლის გამომშვები სამინისტროებისა და საწარმოების პასუხისმგებლობა ამ საქონელზე შემოსავლის სხვადასხვა დონის ოჯახების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის, ამასთან არ დაუშვან მოსახლეობაში მოთხოვნილების მქონე იაფი საბავშვო საქონლის წარმოების შემცირება და შეწყვეტა.

რჩევა მიეცეთ სპეციალიზებული გახადონ საწარმოები და ცალკეული უბნები საბავშვო ასორტიმენტის იაფი ხარისხიანი საქონლის დასამზადებლად.

10. ორსული ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობის დაცვა-განმტკიცების ინტერესებისათვის:

ა) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი ქალთა კონსულტაციების, ბავშვთა პოლიკლინიკებისა და სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ორსული ქალებისა და ბავშვებისადმი დისპანსერული მეთვალყურეობის ხარისხის ასამაღლებლად;

— მოაწესრიგოს ორსული და მშობიარე ქალებისათვის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება, უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის ქალაქებში;

— 1981-1982 წლებში შექმნას დიდ საქალაქო საავადმყოფოებში ახალშობილ ბავშვთა პათოლოგიის განყოფილებანი (პალატები);

— გააძლიეროს კონტროლი სამრეწველო საწარმოებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე ქალთათვის სამეანო-გინეკოლოგიური დახმარების ორგანიზაციისადმი;

— უზრუნველყოს ექიმ-პედიატრთა და მეან-გინეკოლოგთა კვალიფიკაციის სრული და დროული ამაღლება;

— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად არსებითად გააფართოოს ორსულ ქალთათვის სპეციალიზებული პროფილაქტორიუმების ქსელი, მათ შორის პროფკავშირთა დასასვენებელი სახლების ბაზაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

— შემოღებულ იქნეს მეთერთმეტე ხუთწლედში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის ოპერაციასთან დაკავშირებით დროებითი შრომისუუნარობის პირველი სამი დღის ანაზღაურება;

— გადიდდეს მომუშავე ქალთა ანაზღაურებული მშობიარობისწინა შვებულების ხანგრძლივობა 70 დღემდე;

გ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საწარმოო გაერთიანებამ „საქთევზმრეწვმა“ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადების შესაბამისად უზრუნველყონ მეთერთმეტე ხუთწლედში და 1990 წლამდე პერიოდში ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება და ასორტიმენტის გაფართოება, აგრეთვე მათი ხარისხის გაუმჯობესება სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მოთხოვნილების გათვალისწინებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშრალი რძის ნარევების, ხილბოსტნეულის წვენებისა და კონსერვების გამოშვების გადიდებას;

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ცვლაში არანაკლებ 100 ტონა რძის სიმძლავრის რძის ქარხნების მშენებლობისას უზრუნველყოს ამ ქარხნებში შესაბამისი საამქროებისა და განყოფილებების შექმნა, სადაც დაამზადებენ მაწონს 200-250-გრამიან ქილებში, ნადუღს 50-100-გრამიან ქილებში, 50-100-გრამიან წონით ხაჭოს, 10-პროცენტიანი ცხიმიანობის ნაღებს 200-250-გრამიან ქილებში, რძეს 250-გრამიან ბოთლებში; მიამაგროს რძის პროდუქტების საამქროების მქონე საწარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო სარძეო ფერმები, ამასთან დააწესოს მათთვის გადიდებული ვეტერინარულ-სანიტარიული რეჟიმი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ გახსნან სპეციალიზებული საბავშვო სასურსათო მაღაზიები და სექციები ბავშვთა კვების პროდუქტების ფართო ასორტიმენტით; მოაწყონ ბავშვთა კვების პროდუქტების ფართო რეკლამა, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნით ადგილობრივი პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, პლაკატები და სხვა საშუალებანი.

11. იმ მიზნით, რომ შეიქმნას უფრო ხელშემწყობი პირობები ბავშვთა დასვენებისათვის, განსაკუთრებით სასკოლო არდადეგების პერიოდში, აგრეთვე მშობლებთან ერთად ქალაქგარეთ დასვენებისათვის:

— შემოღებულ იქნეს მეთერთმეტე ხუთწლედში პიონერბანაკების საგზურების ანაზღაურების დამატებითი შეღავათები, ამასთან დაწესდეს, რომ საგზურების ნახევარი მშობლებს მიეცემათ უფასოდ ხოლო დანარჩენი — ღირებულების 20 პროცენტის გადახდით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფილ იქნეს პანსიონატებისა და საოჯახო დასვენებლებისა სხვა გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარება, გაფართოვდეს იმ ოჯახების უპირატესობანი, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, მათთვის ამ დაწესებულებათა საგზურების მიცემისას;

— მიენიჭოთ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობებში (კოოპერატივებში) შესვლის უპირატესი უფლება, რაც საოჯახო დასვენებისა და ბავშვთა აღზრდის, ბუნებასთან მათი ურთიერთობის ფართო შესაძლებლობას ქმნის.

დაევალოს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) ტიპობრივ წესდებებში საჭირო ცვლილებათა შესატანად.

12. პროპაგანდისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების დარგში:

ა) პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა სრულყონ ოჯახის, როგორც სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმაღლესი მორალური ღირებულების, შესახებ ცოდნის პროპაგანდის ფორმები და გააძლიერონ მისი ქმედითობა მოსახლეობაში, მეტი ყურადღება დაუთმონ დედობის პრესტიჟის ამაღლებას და საქორწინო-საოჯახო ურთიერთობის განმტკიცებას, შექმნან ბავშვიანი ოჯახებისადმი გადიდებული ზრუნვისა და პატივისცემის ატმოსფერო;

ბ) საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიეროს ახალგაზრდობაში მუშაობა სოციალისტური ცხოვრების წესის პროპაგანდისათვის, ჩაუნერგოს მას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, ქალიშვილებისადმი, ქალებისა და დედებისადმი, უფროსებისადმი პატივისცემა.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 235 დადგენილებით დაევალათ:

— სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საკავშირო პროფსაბჭოსთან და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნასთან“, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომთან ერთად უზრუნველყოს დემოგრაფიის, ოჯახის, ცოლქმრობის ჰიგიენის, ბავშვთა აღზრდის, მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების, მისი სრულფასოვანი დასვენების ორგანიზაციის საკითხებზე სამეცნიერო, სასწავლო და მასობრივ-პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემის გადიდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად გაითვალისწინონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსი კლასების, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმებში სავალდებულო მეცადინეობანი საოჯახო ცხოვრების ფსიქოლოგიისა და ეთიკის, ქალიშვილებისა და ჭაბუკების ჰიგიენური და სქესობრივი აღზრდის საკითხებზე;

— სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს — სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

68 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის თანამიმდევრულად განხორციელებამ შექმნა პირობები სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის, რაც მოხუცებულობაში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მთავარი საშუალებაა. სოციალური უზრუნველყოფის გაფართოებისა და სრულყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვთ ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის № 236 დადგენილებით „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ 1981 წლის 22 იანვარის № 236 დადგენილებით:

ა) გაუდიდეს 1981 წელს ასაკის გამო პენსიის მინიმალური ოდენობა მუშებსა და მოსამსახურეებს თვეში 50 მანეთამდე, ამასთან შესაბამისად გაზარდეს ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა;

ბ) მიიღეს კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში გაუდიდდეთ ასაკის გამო პენსიის მინიმალური ოდენობა კოლმეურნეობათა წევრებს თვეში 40 მანეთამდე და ამავე დროს გაიზარდოს ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა;

გ) 10 წელზე მეტი ხნის წინათ პენსიაზე გადასულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან პენსიონერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ ცნეს დაიწყოს მეთერთმეტე ხუთწლედში მათთვის წინათ დანიშნული პენსიების ოდენობის გადიდება, იმ ვარაუდით, რომ იგი მიუახლოვდეს ანალოგიური კვალიფიკაციის მუშაკთათვის ამჟამად დანიშნული პენსიების დონეს. ეს ღონისძიებანი პირველ რიგში ხორციელდება პენსიონერებისათვის, რომლებიც თვეში 60 მანეთზე ნაკლებ პენსიას იღებენ;

დ) გადაწყვიტეს მეთერთმეტე ხუთწლედში განახორციელონ ღონისძიებანი დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ე) დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს უზრუნველყონ ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების ქსელის არსებითი გაფართოება, მათი კეთილმოწყობისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლება. გააფართოონ სახსრების, კერძოდ, კოლმეურნეობათა სახსრების კოოპერირების პრაქტიკა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სახლ-ინტერნატების მშენებლობისათვის, ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა დროებით საცხოვრებელი სახლ-ინტერნატების ორგანიზაციისათვის, აგრეთვე განავითარონ მარტოხელა ღრმად მოხუცებულ მოქალაქეთა და ინვალიდთა შინ მომსახურება.

დაავალეს სსრ კავშირის სახმშენს შეიმუშაოს 1981-1985 წლებში ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების გაუმჯობესებული ტიპობრივი პროექტები.

გაადიდეს მეთერთმეტე ხუთწლედში ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების, მედიკამენტებისა და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ხარჯების ნორმები საშუალოდ 20-25 პროცენტით;

ვ) დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივ წარმოებაში პენსიონერთა მონაწილეობის შესაძლებლობის, მათ შორის არასრული სამუშაო დროის პირობებში და შინ მუშაობის შემდგომი გაფართოებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ყურადღება ომისა და შრომის ვეტერანთა, შრომისუუნარო მოქალაქეთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი, მკაცრი კონტროლი გაუწიონ მათთვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების უცილობლივ მიცემას.

2. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მეტი დახმარება გაუწიონ ომისა და შრომის ვეტერანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას, მიიღონ ზომები მათთვის კანონით დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობის უცილობრივ მინიჭებისადმი ყოველდღიური კონტროლის გასაძლიერებლად.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

ა) გულდასმით განახორციელოს საჭირო მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს, რომ გაუდიდდეთ 1981 წელს ასაკის გამო პენსიის მინიმალური ოდენობა მუშებსა და მოსამსახურეებს თვეში 50 მანეთამდე, ამასთან შესაბამისად გაიზარდოს ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა, აგრეთვე მეოთრთმეტე ხუთწლედში გაუდიდდეთ ასაკის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა კოლმეურნეობათა წევრებს თვეში 40 მანეთამდე და ამავე დროს გაიზარდოს ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა;

ბ) უზრუნველყოს 10 წელზე მეტი ხნის წინათ პენსიაზე გადასულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან პენსიონერთათვის საჭირო მასალების მომზადება მათთვის წინათ დანიშნული პენსიების მეთერთმეტე ხუთწლედში შესაბამისი გადიდების მიზნით. აღნიშნული სამუშაო პირველ რიგში განახორციელოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც თვეში 60 მანეთზე ნაკლებ პენსიას იღებენ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 29 სექტემბერი, № 698

ეროვნული ბიბლიოთეკა

17087

69 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 აგვისტოს № 749 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ზენორმატიულ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 აგვისტოს № 749 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-6 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 621 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საწარმოებში და მშენებლობებზე დაუდგმელი მოწყობილობის გამოყენების შესახებ“;

— მე-4 პუნქტის მეშვიდე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის № 80 დადგენილებისა „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“;

— მე-18 პუნქტის მერვე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 459 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 აგვისტოს № 749 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-20 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივნისის № 441 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 27 ოქტომბერი, № 770

ქ. თბილისის სახ. საქ. სსრ
სახელ. კო. რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

70 სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების პირობებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„რესპუბლიკის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების კეთილმოწყობისა და სოფლად კულტურის ამაღლების შესახებ“ 1979 წლის 6 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა გალის რაიონის სოფელ მზიურისა და თელავის რაიონის სოფელ სანიორის მშრომელთა ინიციატივა საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების, სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ტერიტორიების კეთილმოწყობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1979 წლის 6 დეკემბრის დადგენილების შესრულებისა და გალის რაიონის სოფელ მზიურისა და თელავის რაიონის სოფელ სანიორის მშრომელთა ინიციატივის ფართოდ გავრცელების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 27 თებერვლის № 132 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების პირობებში და მიღებულ იქნეს იგი ახალი რედაქციით, დანართის თანახმად.

2. შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად წინადადებათა მომზადება დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოებისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებებს, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

3. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

— სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი შედეგების წინასწარი შეჯამებისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების კეთილმოწყობისა და სოფლად სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებს;

—სოციალისტური შეჯიბრების პირობებში შეტანილი ცვლილებანი უმოკლეს ვადაში დაუგზავნონ სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.	**თ. მოსაშვილი.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 9 აგვისტოს № 637 დადგენილების დანართი
(ფორმა)

პ ი რ ო ბ ე ბ ი

სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებს შორის წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტისათვის სოციალისტური შეჯიბრებისა

———————————— ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის
———————————— სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმსკომი

აღმასკომის თავმჯდომარე	(გვარი, სახელი, მამის სახელი)
აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე	„
აღმასკომის მდივანი	„
აღმასკომის პროფორგანიზაციის ხელმძღვანელი	„

სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს ტერიტორიზე ცხოვრობს ————————კაცი

მაჩვენებლის დასახელება	გეგმა (დავალება)	გადაჭარბებულია	დეფიციტურია	შესრულების პროცენტი	
				გეგმასთან შედარებით	ვალდებულებასთან შედარებით
მრეწველობა					
სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა					
აქედან გეგმა შეასრულა:					
პროდუქციის რეალიზაციისა					
შრომის ნაყოფიერების ზრდისა					
პროდუქციის რეალიზაციისა მოცულობა (ათასი მანეთი)					
ხარისხის სახელმწიფო ნიშნისა (ნაწარმის რაოდენობა)					
ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციისა ხვედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში (პროცენტი)					
სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ნორმირებული მოხმარებისა (საწარმოთა მიხედვით ანგარიში ფორმა № 11)					

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლის დასახელება	გეგმა (დავალება)	ვალდებულებიდან	ფაქტიურად	შესრულების პროცენტი	
				გეგმასთან შედარებით	ვალდებულებასთან შედარებით
სათბობისა (ათასი ტონა)					
ელექტროენერგიისა (ათასი კილოვატსაათი)					
თბოენერგიისა (გიგაკალორია)					
სოფლის მეურნეობა					
კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა					
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება (ათასი მანეთი, არსებული ფასებით)					
წარმოება (ცენტნერი)					
მარცვლეულისა					
კარტოფილისა					
ბოსტნეულისა					

შენიშვნა: მრეწველობის მაჩვენებლები ეხება ქალაქის საბჭოებს (რაიონული დაქვემდებარების)

ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა					
ყურძნისა					
სოფლის მეურნეობის პროდუქციის სხვა წამყვანი სახეობებისა					
ციტრუსებისა					
შაქრის ჭარხლისა					
ხორცისა					
რძისა					
კვერცხისა (ათასი ცალი)					
მატყლისა (ცენტნერი)					
სახელმწიფოსათვის მიყიდვა (ცენტნერი)					
მარცვლეულისა					
ბოსტნეულისა					

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლის დასახელება	გეგმა (დავალება)	ვალდებულება	ფაქტიურად	შესრულების პროცენტი	
				გეგმასთან შედარებით	ვალდებულებასთან შედარებით
კარტოფილისა					
ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა ყურძნისა					
სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციისა					
ხორცისა					
რძისა					
კვერცხისა (ათასი ცალი)					
მატყლისა					
დამზადებულია საკვები ერთეული ერთ სულ პირობით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე გაანგარიშებით					
პირუტყვის პროდუქტიულობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში					
ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა (კილოგრამი)					
მატყლის საშუალო წლიური ნაპარსი ერთი ცხვრიდან (კილოგრამი)					
ერთი ქათმის საშუალო კვერცხმდებლობა (ცალი)					
საზოგადოებრივ მეურნეობებში სახელმწიფოსათვის მიყიდული ერთი სული საქონლის საშუალო წონა (კილოგრამი)					
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა					
ღორისა					
ცხვრისა და თხისა					
პირუტყვისა და ფრინველის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში					
მსხილფეხა რქოსანი პირუტყვისა					
მათ შორის:					
ძროხისა					
ცხვრისა და თხისა					
ფრინველისა					

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლის დასახელება	გეგმა (დავალება)	ვალდებულება	ფაქტიურად	შესრულების პროცენტი	
				გეგმასთან შედარებით	ვალდებულებასთან შედარებით
კაპიტალური მშენებლობა					
საექსპლუატაციოდ გადაცემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (მოსწავლის ადგილი)					
სკოლამდელი დაწესებულებების (ადგილი)					
საექსპლუატაციოდ გადაცემულია					
საცალო ვაჭრობის ობიექტების — სულ (კვ.მ)					
მათ შორის:					
უნივერმაღი (კვ. მ.)					
საზოგადოებრივი კვების საწარმოები (ადგილი)					
სამედიცინო დაწესებულებები (საწოლი)					
წყალსადენის ქსელის საექსპლუატაციოდ გადაცემა (კმ)					
საცალო ვაჭრობა (ათასი მანეთი)					
საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა სულ (ათასი მანეთი)					
ერთ სულ მოსახლეზე (მანეთი)					
შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა:					
უბედური შემთხვევის გამო დაშავებულთა რაოდენობა					
სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების ბიუჯეტის შესრულება (ათასი მანეთი)					
შემოსავალი					
გასავალი					
შემოსავლის გასავალზე გადამეტების ოდენობა					
ბიუჯეტის წინაშე დავალიანების (ნარჩენების) მდგომარეობა					

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩვენებლის დასახელება	გეგმა (დავალება)	ვალდებულება	ფაქტიურად	შესრულების პროცენტი	
				გეგმასთან შედარებით	ვალდებულებასთან შედარებით
თვითდაბეგვრის თანხების აკრეფის გეგმის შესრულება					
ამ თანხების ათვისება					
მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა					
რძისა (ცენტნერი)					
ხორცისა „					
მატყლისა (კგ)					
კვერცხისა (ათასი ცალი)					
ბოსტნეულისა (ტონა)					
ყურძნისა „					
ხილისა „					
კარტოფილისა „					
ჩაისა „					
ციტრუსებისა „					
მცენარეთა დარგვა					
ვაზისა					
ხეხილისა					
ჩაისა					
ციტრუსებისა და სხვა.					

ცნობას თან უნდა ერთოდეს მასალები შემდეგ საკითხებზე:

— საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებული ახალგაზრდების შენარჩუნება სოფლად;

— საშუალო საყოველთაო-სავალდებულო განათლებაში ჩაბმა, მოსახლეობის მონაწილეობა ამ მუშაობაში;

— კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა (ცნობა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებიდან ორი უკანასკნელი წლის მიხედვით);

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა თანხები იყო გათვალისწინებული შესაბამისი ბიუჯეტებით (სასოფლო, სადაბო და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების) ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის და როგორია ათვისების მდგომარეობა?

ა) რა თანხები იყო გათვალისწინებული სასოფლო და სადაბო გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა-რემონტისათვის და როგორია ათვისების მდგომარეობა?

ბ) აღინიშნოს კონკრეტულად რა გაკეთდა: რამდენი კილომეტრი გზა გაიყვანეს ან შეაკეთეს, რა ობიექტი აშენდა ან შეკეთდა, რამდენი ხიდი და ბოგირი აშენდა ან შეკეთდა.

— კეთილმოწყობის რა სამუშაოები შესრულდა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით?

— როგორ მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები; რამდენი ხე დაირგო სოფლების, დაბების, ქალაქების ცენტრებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე და მაგისტრალებზე?

— როგორია სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სანიტარიული მდგომარეობა?

— როგორაა განათებული საბჭოების ცენტრები და მათი მიმდებარე ტერიტორიები, ისტორიული ძეგლები, ომში დაღუპულთა ობელისკები და სტენდები?

— არის თუ არა საბჭოების ცენტრებში ავტოტრანსპორტის მოსაცდელი ფარდულები, როგორია ისინი არქიტექტურულად, შეესაბამება თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს;

— საბჭოების ცენტრებში არის თუ არა რეკლამებისა და აფიშების გასაკრავი სპეციალური დაფები, თუ ამ დანიშნულებისათვის შენობების კედლებია გამოყენებული?

— რა მდგომარეობაშია საავტომობილო მაგისტრალები, იწმინდება თუ არა წყალგამავალი არხები, გზის ნაპირებზე არის თუ არა დაყენებული ბოძგინტები, კილომეტრების მაჩვენებლები და მაგისტრალზე მდებარე სოფლების მაუწყებელი წარწერები?

— რა მდგომარეობაშია სასაფლაოები, არის თუ არა ისინი შემოკავებული და მოვლილი?

— როგორ შენობებშია მოთავსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები: სამკერვალოები, ფეხსაცმლის სახელოსნოები, საპარიკმახეროები?

— როგორ შენობებშია მოთავსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტები, როგორია მათი გარეგნული იერი, არქიტექტურა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორია სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის შენობების გარეგნული იერი?

— როგორ მდგომარეობაშია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობანი?

— არის თუ არა უზრუნველყოფილი მოსახლეობა სასმელი წყლით, როგორაა მოვლილი წყალსადენები და წყაროს წყლები?

— როგორაა მოვლილი და დამუშავებული მაგისტრალების გასწვრივ მდებარე ვენახები, ბაღები, ბოსტნები და ნათესი ფართობები?

— რა ღონისძიებები ტარდება სოფლის მცხოვრებთა კულტურის ამაღლებისა და ქალაქური ყოფა-ცხოვრების წესების დანერგვისათვის?

— რა მდგომარეობაშია რკინიგზის სადგურები და სარკინიგზო მაგისტრალები, მათი სანიტარიული მდგომარეობა, დედათა და ბავშვთა მოსაცდელი დარბაზები?

— არის თუ არა სოფელი მთლიანად ელექტრიფიცირებული და რადიოფიცირებული, ღებულობენ თუ არა ტელეგადაცემებს, რამდენ მოსახლეზე მოდის ერთი ტელევიზორი?

— კარმიდამოებისა და საცხოვრებელი სახლების მდგომარეობა.

შენიშვნა: ცნობას სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების შესახებ ხელს უნდა აწერდნენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფსაბჭოს შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები და აღნიშნულ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოიგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მომდევნო წლის არაუგვიანეს 25 იანვრისა.

აღნიშნული ცნობების სტატისტიკური მონაცემები დამოწმებული უნდა იქნეს სტატისტიკის შესაბამისი ორგანოების მიერ.

71 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მეგალეოგბის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებაში ცვლილებათა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებულ საქართველოს სსრ მეგაღლეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) ეროვნული შაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თავის წევრთაგან ირჩევს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, გამგეობას და გამგეობის წევრებს იმ რაოდენობით, რასაც თვითონვე განსაზღვრავს. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) თავმჯდომარეს და მის პირველ მოადგილეს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო“.

ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „განიხილავს და ამტკიცებს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) საშტატო განრიგს, ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს, ქმნის პრემიებისა და დახმარების ფონდს“.

მე-12 პუნქტს დაემატოს აბზაცი „საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) წელიწადში ერთხელ ამოწმებს მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას“.

მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) სახსრები შედგება მეგაღლეობის ამხანაგობათა შენატანებისაგან, მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ანარიცხებისაგან (ზემდგომი ორგანიზაციის შენახვის ხარჯები), აგრეთვე მეგაღლეობის ამხანაგობებისათვის საერთო კომუნიკაციების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს ერთიანი დამკვეთის ფუნქციების შესრულებისას მიღებული შემოსავლისაგან, რომლებიც ჩაირიცხება საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ანგარიშზე არსებული წესით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 23 სექტემბერი, № 670

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

72 საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სახელმწიფო გამოცდისა და დარაიონების შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სახელმწიფო გამოცდისა და დარაიონების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 მაისის № 448 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სახელმწიფო გამოცდისა და დარაიონების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 მაისის № 448 დადგენილებით:

— დამტკიცდა დებულება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სახელმწიფო გამოცდისა და დარაიონების შესახებ (თან ერთვის);

— უფლება მიეცათ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების დირექტორებს და რჩევა მიეცათ კოლმეურნეობათა გამგეობებს აძლიონ სახელშეკრულებო პირობებით ამ მეურნეობებში ორგანიზებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების გამგეებსა და სპეციალისტებს პრემიები აღნიშნული ჯიშთსაცდელი ნაკვეთებისათვის დაწესებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დარაიონებული და პერსპექტიული ჯიშების თესლის გამრავლების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დაწესდა, რომ პრემიები გაიცეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის შესაბამის ინსპექტურასთან და პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც დაირიცხება მოგების მიღებისათვის (ზარალის შემცირებისათვის) მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირებისათვის;

— ნება დაერთო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისცეს პრემიები სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის ინსპექტურების, სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურებისა და სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების იმ ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ მარცვლეული, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახების მაღალპროდუქტიული დარაიონებული და პერსპექტიული ჯიშების თესლის წარმოების საქმეში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 729 დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად ამ სამინისტროსათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

2. გავრცელდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის ინსპექტურის ხელმძღვანელ მუშაკებზე მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების ის პირობები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის მთავარი სამმართველოების მუშაკთათვის.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 7 სექტემბრის № 627 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-5 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები და მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 ივნისის № 707 დადგენილებისა „მარცვლეული, ზეთოვანი, სასილოსე კულტურებისა და ბალახების სახელმწიფო ჯიშგამოცდისა და დარაიონების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 იანვრის № 127 დადგენილება „სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში მარცვლეული, ზეთოვანი კულტურებისა და ბალახების ჯიშგამოცდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
წლის 11 მაისის № 448 დადგენილებით

დებულება

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სახელმწიფო გამოცდისა და დარაიონების შესახებ

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და სხვა მოშენებულ მცენარეთა ყველა ახალმა ჯიშმა, ჰიბრიდმა, ხაზმა, სამამულო და უცხოური სელექციის აბრეშუმის ჭიის ჯიშმა, ხაზმა და ჰიბრიდმა (შემდგომში ჯიშად წოდებულმა) სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებამდე უნდა გაიაროს სავალდებულო სახელმწიფო გამოცდა. ამ გამოცდის შედეგად მოწონებული და დარაიონებული ჯიშები გამოიყენება ქვეყნის გარკვეულ ნიადაგ-კლიმატურ ზონებში მოსაყვანად.

2. ჯიშების სახელმწიფო გამოცდას ახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის, მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ამ სახელმწიფო კომისიის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი ინსპექტურების, გამოსაცდელი ჯიშების ხარისხის შემფასებელი ლაბორატორიების, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, ზონალური სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურების (საცდელ-საწარმოო მეურნეობებითურთ),

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული ან სახელშეკრულებო პირობებით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ორგანიზებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების მეშვეობით.

3. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამტკიცებს:

დებულებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის შესახებ;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობას. სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში შედიან დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები;

სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურებისა და ნაკვეთების, აგრეთვე გამოსაცდელი ჯიშების ხარისხის შემფასებელი ლაბორატორიების ქსელს რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების და ზონების მიხედვით;

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და სხვა მოშენებულ მცენარეთა ნუსხას, რომელთა ჯიშები სახელმწიფო გამოცდას ექვემდებარება;

კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების ტიპობრივ ხელშეკრულებებს მათთან ჯიშთსაცდელი ნაკვეთების ორგანიზაციის შესახებ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ამტკიცებს ძირითად მოთხოვნებს სახელმწიფო გამოცდისათვის წარსადგენი ახალი ჯიშებისადმი.

4. სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს მიწების მელიორაციისათვის გამოყოფილ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შინასამეურნეო სარწყავი და საშრობი სისტემების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა, აგრეთვე სხვა სამელიორაციო სამუშაოთა შესრულებას სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურების, დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული ან სახელშეკრულებო პირობებით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ორგანიზებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების მინდვრებზე. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ორგანიზებულ სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთებზე არსებული მთელი შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელი და ნაგებობები ირიცხება აღნიშნულ მეურნეობათა ბალანსზე და მათ უნდა იქონიონ წესივრულ მდგომარეობაში.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები უზრუნველყოფენ, რომ:

კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფო ჯიშთსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ ნაკვეთებს ჯიშთგამოცდის სამუშაოთა ორგანიზაციაში და მათი საქმიანობისათვის ნორმალური პირობების შექმნაში;

გამოუყონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მათთან ორგანიზებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები, აგრეთვე საშენი მასალები;

შესაბამისმა წყალსამეურნეო ორგანიზაციებმა დროულად მიაწოდონ სახელმწიფო ჯიშთსაცდელ სადგურებსა და ნაკვეთებს წყალი მთელი ნათესების მორწყვისათვის საჭირო ოდენობით;

დააკომპლექტონ სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურები და ნაკვეთები, აგრეთვე გამოსაცდელი ჯიშების ხარისხის შემფასებელი ლაბორატორიები სპეციალისტებითა და სხვა მუშაკებით.

6. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურებისა და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების ცენტრალიზებულ მომარაგებას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური სამუალებებით, აგრეთვე სახელშეკრულებო პირობებით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ორგანიზებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების ცენტრალიზებულ მომარაგებას სპეციალური მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და ლაბორატორიული მოწყობილობით.

7. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო საჭირო შემთხვევებში უზრუნველყოფენ უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან, მათი საცდელ-საწარმოო მეურნეობებიდან, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-საცდელი მეურნეობებიდან, სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურებიდან და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთებიდან, ხოლო სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო შესაბამისად პურეულის მიმღები საწარმოებიდან და ბამბის საწმენდი ქარხნებიდან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის საწარმოო გამოცდის განსახორციელებლად მარცვლეული, ზეთოვანი, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ელიტისა და პირველი რეპროდუქციის თესლის გადაცემას მიყიდვის ან გაცვლის წესით მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული პირობების მიხედვით.

სასელექციო-საცდელ დაწესებულებებს, სახელმწიფო ჯიშთსაცდელ სადგურებსა და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთებს უფლება აქვთ ყოველწლიურად გადასცენ უსასყიდლოდ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საწარმოო გამოცდის განსახორციელებლად დარაიონებული და ახალი პერსპექტიული ჯიშების თესლი იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს თითოეული შესადარი ჯიშის თესვას არანაკლებ 5 ჰექტარ ფართობზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი პერსპექტიული ჯიშების საწარმოო გამოცდის დადებითი შედეგების შემთხვევაში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უფლება ეძლევათ დაიტოვონ მოწეული მოსავლის თესლი მეურნეობის სათესლე ფონდების შესაქმნელად ან გადასცენ იგი მიყიდვის ან სამეურნეობათაშორისო გაცვლის წესით სხვა მეურნეობებს საწარმოო გამოცდის გასაფართოებლად.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო საჭირო შემთხვევებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით ეწევა თესლის ოლქთაშორის გადაზიდვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საწარმოო გამოცდის განსახორციელებლად, ამასთან გადაზიდვის ხარჯები გაიღება საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან.

ინსტრუქციას საწარმოო გამოცდის განსახორციელებლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის მარცვლეული, ზეთოვანი, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის მიწოდების წესის შესახებ ამტკიცებენ სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.

8. სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის განაცხადების მიხედვით აღნიშნული სამინისტროების საქვეუწყებო ლაბორატორიებში, აგრეთვე საწარმოო პირობებში (წისქვილებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში) სახელმწიფო გამოცდის გასავლელი და დარაიონებისათვის პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მარცვლეული, ზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, ბამბის, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სხვა კულტურების) ახალი ჯიშების პროდუქციის ტექნოლოგიურ თვისებათა შეფასებას და ჩამოთვლილი პროდუქციის გამოყოფას აღნიშნული გამოცდის განხორციელებისათვის საჭირო ოდენობით.

9. სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთგამოცდა ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

10. იმ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებშიც ორგანიზებულია სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთები, ეკისრებათ ამ ნაკვეთების გამგეების თანაბრად პირადი პასუხიმგებლობა სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

11. სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების ურთიერთობა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, რომლებშიც ორგანიზებულია ისინი, განისაზღვრება შემდეგი ძირითადი პირობებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთები უნაზღაურებენ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთგამოცდის საცდელ სამუშაოთა განხორციელებისათვის გაწეული შრომის, ფულადი სახსრებისა და მატერიალური საშუალებების დამატებით დანახარჯებს ჯიშთსაცდელი ნაკვეთის თესლბრუნვაში შემავალ ჰექტარ ფართობზე საშუალოდ 43 მანეთის ოდენობით, იმ პირობით, თუ კოლმეურნეობები შეასრულებენ სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჭირო შემთხვევებში აწესებს აღნიშნული ჰექტარობრივი ანაზღაურების დიფერენცირებულ, 20 პროცენტამდე ფარგლებში, ოდენობას, აგრეთვე განსაზღვრავს ხეხილის, კენკროვანი და სუბტროპიკული კულტურების, ყურძნისა და აბრეშუმის ჭიის ჯიშთგამოცდის განსახორციელებლად კოლმეურნეობებისათვის დამატებითი ხარჯების ანაზღაურების წესსა და ოდენობას;

ბ) სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთზე მოწეული მარცვლეულის, ზეთოვანი, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიდან მეურნეობა გამოყოფს თესლს ჯიშთსაცდელ ნაკვეთზე მომავალ წელს დასათესად, აგრეთვე ანახლებს (ქმნის) სადაზღვევო თესლის ფონდს თესლზე ჯიშთსაცდელი ნაკვეთის წლიური მოთხოვნილების ოდენობით. მოსავლის დანარჩენ ნაწილს იყენებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დადგენილი წესით;

გ) სახელმწიფო ჯიშთსაცდელ ნაკვეთებზე მოწეულ ახალი ჯიშების თესლს კოლძეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მიჰყიდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელ სახელმწიფო კომისიას მისი განაცხადების მიხედვით სახელმწიფო ჯიშთსაცდელ სადგურებში და სხვა რაიონებში ნაკვეთებზე გამოსაცდელად მოქმედ ფასებში, ამასთან გადაახდევინებენ დაწესებულ ფულად ჯიშდანამატებს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნიმუშებს ახალი ჯიშების ტექნოლოგიურ თვისებათა შესაფასებლად — მოქმედ შესასყიდ ფასებში;

დ) სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთები ანაზღაურებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მიცემული და სახელმწიფო ჯიშთსაცდელი ნაკვეთების მინდვრებში გამოყენებული მინერალური სასუქების, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის საშუალებების ღირებულებას, აგრეთვე უზრუნველყოფენ ამ მინდვრებზე სათესად (სარგავად) საჭირო იმ თესლისა და სარგავი მასალის გამოყოფას, რომლებიც შეტანილია ჯიშთა გამოცდაში.

12. სახელმწიფო გამოცდის შედეგების მიხედვით გამოვლენილი ჯიშები, რომლებიც ნამდვილად სჯობს წინათ დარაიონებულ ჯიშებს პროდუქტიულობის, ხარისხის, დაავადება-მავნებლებისადმი გამძლეობისა და სხვა ძვირფასი თვისებების მიხედვით, უნდა დარაიონდეს და დაინერგოს წარმოებაში, ხოლო ნაკლებპროდუქტიული და ნაკლებმნიშვნელოვანი ჯიშები — მოიხსნას დარაიონებიდან და წარმოებიდან, იმ ვარაუდით, რომ მეურნეობაში მოჰყავდეთ

2-3 დარაიონებული ჯიშის წამყვანი კულტურები, რომლებიც განსხვავდებიან ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშნების მიხედვით და უზრუნველყოფენ მყარი მოსავლის მიღებას, მაგრამ სართავი სელის, კანაფისა და ბამბის არა უმეტეს ორი დარაიონებული ჯიშისა.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უფლება ეძლევათ ამოირჩიონ (მოცემული ზონისათვის დამტკიცებული ჯიშობრივი დარაიონების ფარგლებში) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშები, ყურძნის, თამბაქოსა და ბამბის გარდა, სათესად (სარგავად).

ახალი ჯიშები, რომლებმაც სახელმწიფო გამოცდის მსვლელობაში საუკეთესო შედეგები უჩვენეს პროდუქტიულობისა და სხვა ძვირფასი თვისებების მიხედვით, ჩაითვლება პერსპექტიულად შესაბამისი ნიადაგ-კლიმატური ზონებისათვის მათ დარაიონებამდე ერთი-ორი წლით ადრე. პერსპექტიული ჯიშების სათესი ფართობები აღირიცხება დარაიონებული ჯიშების ნათესი ფართობების თანაბრად.

13. ახალი ჯიშების დარაიონება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) წინადადებებს დარაიონებისათვის ან პერსპექტიულად მიჩნევისათვის რეკომენდებული ჯიშების შესახებ, იმ ჯიშების შესახებ, რომელთა პირველადი მეთესლეობა უნდა შეწყდეს, აგრეთვე დარაიონებიდან და სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მოსახსნელი ჯიშების შესახებ შეიმუშავებენ სახელმწიფო ჯიშთსაცდელი სადგურები და ნაკვეთები თავიანთი მომსახურების ზონებისათვის და წარუდგენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის ზემდგომ ინსპექტურას;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის მიხედვით ჯიშების დარაიონების ცვლილებათა პროექტებს და პერსპექტიული ჯიშების ნუსხათა პროექტებს შეიმუშავებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის შესაბამისი ინსპექტურები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა დარაიონების რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, საოლქო კომისიების მიერ მათი განხილვის შემდეგ წარუდგენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელ სახელმწიფო კომისიას;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ჯიშების დარაიონების ცვლილებათა პროექტებს და პერსპექტიული ჯიშების ნუსხათა პროექტებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის ინსპექტურები მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა დარაიონების რესპუბლიკური კომისიების მიერ განხილვის შემდეგ წარუდგენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელ სახელმწიფო კომისიას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა დარაიონების რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომისიების შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომი-

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა (საწარმოო სამმართველოთა) უფროსები;

დ) ჯიშთა დარაიონებას ამტკიცებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთსაცდელი სახელმწიფო კომისიის წარდგენით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო შაქრის ჭარხლისა და ბამბის ჯიშთა დარაიონება, გარდა ამისა, მტკიცდება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და შესაბამისად სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

14. პერსპექტიულ ჯიშთა ნუსხებს ამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო:

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან ერთად — მარცვლეული, სამარცვლე პარკოსანი, საბურღულე, ზეთოვანი და საკვები კულტურებისათვის;

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად — შაქრის ჭარხლის, სალუდე ქერის, თამბაქოს, წეკოს, კარტოფილის, ყურძნის, ზეთოვანი და ეთერზეთოვანი კულტურებისათვის;

სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად— ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხეხილის, კენკროვანი და ყვავილოვანი კულტურების, კარტოფილისა და ყურძნისათვის;

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად — ბამბისა და სალაფნე კულტურებისათვის.

---

73 „თუთის ფოთლის, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ბინის ქირისა და სანამყენე კალმების ღირებულების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 აპრილის № 576 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, და „თუთის ფოთლის, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ბინის ქირისა და სანამყენე კალმების ღირებულების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 აპრილის № 576 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთზე აქვთ თუთის ნარგავები, მაგრამ არ არიან დასაქმებული აბრეშუმის ჭიის გამოკვებით, ასევე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახდენენ ნამეტი თუთის ფოთლის რეალიზაციას, აუნაზღაურდეთ თუთის ფოთლის თითოეულ კილოგრამზე 9 კაპიკი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 30 სექტემბერი, № 687

74 „არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების დანართის დამატებით შეტანილ იქნეს ქალაქი გაგრა რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ ქალაქების ნუსხაში, სადაც გამოყენებულია საიჯარო ქირის შესაბამისი განაკვეთები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 23 ოქტომბერი, № 732

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5. 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-82 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 2,25, სააღრიცხვო თაბახი 2,25

შეკვეთა № 1206 უე 15578 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

6 24/95

ეროვნული
ბიბლიოთეკა